შაბათი 1919 წ. თებერვლის 15 № 36
წლიწადი მეხუთე

შაბათი 1919 წ. თებერვლის 15 № 36
ფასი თბილისში კოპეინობაში და რძ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ყოველ თვეობით—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათ ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

# ხმა მიეცით სიას № 2-ს

ბილანიშვილების გვარეულობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ სომხეთის ომში დავაადმყოფებული, თბილისის საავადმყოფოში გარდაიცვალა 12 თებერვალს მათთვის ძვირფასი სახალხო გვარდიელი

კოტე გიორგის ძე **ბილანიშვილი**

დაკრძალვა მოხდება სოფელ პატარძეულში 16 თებერვალს.

1—2115—1

რეზო ჯაბადარი და ირაკლი ბილანიშვილი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფას ძმისა და მეგობრის სახალხო გვარდიელის

**კოტე ბილანიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. პატარძეულში, კვირას 16 თებერვალს.

1—2112—1

## ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „საქართველო"

1919 წ. წლიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო", ტელეფონი № 15—73.

**კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.**

## აფიცერთა რაზმის შედგენა

სამხედრო მინისტრმა მიბრძანა მე, ოფიცერთა რაზმის ყოფილ უფროსს კაპიტან უთნელიშვილს, სამშობლოს დაცვისათვის ახალციხის ასპარეზზე გასაგზავნად ხელმეორედ შევადგინო ოფიცერთა რაზმი შემდეგი პირობებით: თითოეულ ოფიცერს მიეცემა ერთდროულ დახმარების სახით ათასი (1000 მ.), უმცროსი ოფიცრის ჯამაგირი, ტანსაცმელი და ჯარისკაცის ულუფა. იმ ოფიცრებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით და მოვალეობის შეგნებით არიან გამსჭვალულნი, ვსთხოვთ ჩაეწერონ დასახელებულ რაზმში სამხედრო სასწავლებლის კანცელარიაში (მიხეილის ქუჩა). იქვე მიიღებიან არა გასაწვევ ხნოვანობის ბრძოლისათვის გაწაფული მოხალისენიც, სახალხო გვარდიელთა უფლებებით.

ოფიცერთა რაზმის უფროსი—კაპიტანი უთნელიშვილი.

## სახალხო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ეველახიშვილისა

შაბათს, 15 თებერვალს, ტ. ა. შვამბერგის, სპიტკოს, კანშინას, ვრონსკის, ისეცკის, დემიანენკოს და სხ. მონაწილეობით:

**აიდა**

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

კვირას, 16 თებერვალს, დილით, კურბატოვის ბენეფისი „ჯამბაზები", საღამოთი დირიჟორ ნ. ნ. ჩერეპნინის ბენეფისი „სნეგუროჩკა".

18 თებერვალს, ე. ა. სპიტკოს ბენეფისი „მინიონი".

მოიკითხეთ ყველგან

**ლფინო**

**ჩარჩიბაიასი**

(8—2087—3)

## დამფუძნებელ კრების მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისიისგან.

თბილისის მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდება ამა წლის 14, 15 და 16 თებერვალს დილის 9 საათიდგან, საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში.

1 კომისარიატში.

1 საარჩევნო ყუთი ქართულ უნივერსიტეტის შენობაში. ვაკე.
2 „ „ საზურთალოს თეატრში.
3 „ „ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლღას ქ., ს. მაჩაბლისა, № 52 კირპიჩნის შესახვ.
4 „ „ პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
5 „ „ სამიწადმზომელ სასწავლებელში, გუნიბის ქ.
6 „ „ მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიის ქ. 23.

2 კომისარიატში

7 „ „ მინიატურის თეატრში, მელიქ-აზარიანცისა, ვერის დ.
8 „ „ არტისტიულ საზ. დარბაზში, გოლოვინის პრ.
9 „ „ ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახლი, სასამართლოს ქ. 48.
10 „ „ თბილისის საოლქო სასამართლოს შენობაში.

3 კომისარიატში

11 „ „ პირველ ქალთა გიმნაზიაში, გოლოვინის პრ.
12 „ „ სამოქალაქო სასწავლებელში, ს. აფრიკიანისა. ბებუთოვის ქუჩა.
13 „ „ სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა, ბებუთოვის ქ.

4 კომისარიატში

14 „ „ სახელოსნო გამგეობაში, სალდათის ბაზარი.
15 „ „ მანთაშევის ქარვასლაში, სომხეთის ბაზარი № 62
16 „ „ სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში, აბას-აბადის მოედ.

5 კომისარიატში

17 „ მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზედ.
18 „ „ პუშკინის საქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქ., არბუზის მოედანი
19 „ „ ტოლლეს ქარხნის კანტორაში, ვორონცოვის ქ.

6 კომისარიატში

20 „ „ ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქ.
21 „ „ ქალაქის ახალ სასაკლაოს კონტორაში.
22 „ „ ძმ. ტ.-აბრამოვების ნავთის ამხ. კანტ., კახეთის ქ.
23 „ „ სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ № 46.
24 „ „ მურაშკოს თეატრში, თელავის ქ.
25 „ „ ცარიელ დუქანში, კახეთის ქ., სადაც იმყოფებოდა მოსამსახურეთა ეკონ. საზ. განყოფილება.

7 კომისარიატში

26 „ „ არაკსიანის თეატრში, კონსტანტინეს ქუჩა.
27 „ „ მე-5 ვაჟთა ავლაბრის გიმნაზიაში, პეტრე-პავლეს ქ.
28 „ „ ცარიელ მაღაზიაში, კუთხე ლაზარევისა და ხივის მეს. ს. მანუკოვისა № 57,
29 „ „ მარინეს საეკლესიო სკოლაში.
30 „ „ ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქ.

8 კომისარიატში

31 „ „ ალტმანის სახლში, კუთხე პროექტიროვანის და კახეთის ქ.ქ.
32 „ „ მალაკნების საზ. სკოლაში. დესიმონოვის მოედ.
33 „ „ მე-4 მომრიგ. სასამართლოს განყოფილებაში. სურფსარქისის აღმართი.
34 „ „ პირველ კომერ. სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.

9 კომისარიატში

35 „ „ პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ. № 29.
36 „ „ მუშათა კლუბში. ერთობის უბანი.
37 „ „ მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში, ტურგენევის ქუჩა.
38 „ „ კატოლიკეთა საეკ. სკოლაში, ნიკოლოზის ქ. 59
39 „ „ სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.

10 კომისარიატში

40 „ „ ავჭალის აუდიტორიაში
41 „ „ გრიგენჯიანცის თამ. ქარ. კანტორაში, ვოგზლის ქ. 8
42 „ „ 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფ. კლუბი) მიხეილის პრ.
43 „ „ ზუბალაშვილის სახალხო სახლი, კიროჩნი ქ.

11 კომისარიატში

44 „ „ საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკის ქუჩებისა.
45 „ „ სამოქ. სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ., ს. ბოტკოვისა
46 „ „ ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქ.
47 „ „ სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის, ლოდკის ქ. 24

12 კომისარიატში

48 „ „ დემოკრატიულ კლუბში. მუშტაიდი შერემეტევის ქ.
49 „ „ ყოფ. საჯირითო მოედნის კანტორა
50 „ „ ავჭალის წყალსადენი.
51 „ „ კოლონია ალექსანდერსდორფი.

საარჩევნო კომისია კიდევ ერთხელ მოაგონებს მოქალაქეთ, რომ ვისაც პირადობის ბარათი არ მიუღია და სიაში კი არის შეტანილი, უნდა მოითხოვოს ყუთთან თავისთვის საარჩევნო უბანში არჩევნების დღეებში.

**საქალაქო საარჩევნო კომისია.**

## ამომრჩეველთა საყურადღებოდ

კონვერტები დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის ბინებზე დარიგებული არ იქნება. მათი მიღება მხოლოდ საარჩევნო ყუთებთან არჩევნების დღეს შეიძლება.

საარჩევნო ბიულეტენად გამოდგება მხოლოდ ის დაბეჭდილი ფურცელი, რომელზედაც აღნიშნულია მეორე ნომერი. ჩვენი ბიულეტენი ყავის ფერ ქაღალდზეა დაბეჭდილი.

წინანდელი ბიულეტენები, რომლებიც ქალაქის არჩევნების დროს იყო, დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის აღარ გამოდგება.

ვინც ძველ ბიულეტენს ჩაუშვებს ყუთში ის ხმას დაჰკარგავს.

ბიულეტენებზე არაფერი წააწეროთ ხელით, არც დაუმატოთ, არც გამოაკლოთ ვინმე, თორემ ბიულეტენი ყალბად იქნება ცნობილი და ხმა დაიკარგება.

კონვერტში უნდა ჩაიდვას მხოლოდ—მეორე ნომერი (№ 2).

რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის

**სამკურნალო**

ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოჰოლიკების და ნარკომანებისთვის. ცნობებისთვის მიჰმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. პრუსემკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36.

(12—1102—2)

## საარჩევნო ურნებისკენ

ეს სამი დღე—საარჩევნო ურნებისკენ სიარულის დღეებია საქართველოში. საქართველოს ქალაქებში და სოფლებში ამ სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივი ხმის მიცემა იქნება. სამი დღის განმავლობაში პარტიათა შეხლა-შეტაკება, შეფასება და მათი პოლიტიკის აწონ-დაწონვა მოხდება. და ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა სასტიკი იქნება. ამ პარტიათა ყველა უარყოფითი მხარეების გამომჟღავნება—აი რაზედ იფიქრებს, უპირველესად ყოვლისა მოქალაქე. და ეს ბუნებრივია.

იმ ორომ ტრიალში, რომელიც თან სდევს ყოველ არჩევანს, იმ საარჩევნო დემაგოგიაში, რომელიც სჩვევიათ ჩვენ სოციალისტებს, ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ, რომ საქართველოს მოქალაქე სულის სიმშვიდეს არ დაჰკარგავს და კიდევ შერჩება უნარი ავის და კარგის გაგებისა.

არჩევნებზე გამოსულ პარტიებში, ჩვენ სახეში გვყავს უფრო ძლიერი პარტიები. ასეთებს ეკუთვნის სოციალ-დემოკრატიული პარტია და, შეიძლება ითქვას, პარტია, ეგრედ-წოდებულ, ფედერალისტებისა. რაც შეეხება ფედერალისტების პარტიას, რამდენადაც ეს საქალაქო არჩევნებმა გვიჩვენეს, რაც დრო გადის ეს პარტია, ხმებს ჰკარგავს და არ იძენს. ეს ბუნებრივიც არის. როგორც სოციალისტურ პარტიას მას ფესვები მუშათა და გლეხთა მასაში უნდა ჰქონოდა გადგმული. მაგრამ მუშებისაგან და გლეხებისაგან ეს პარტია დევნილია. დევნილია, რადგანაც, თვით სოციალიზმის თვალსაზრისითაც, პარტია სერიოზულად სოციალისტური არ არის. მისი ფედერაცია—ბაირაღია, მაგრამ უჯარო, სოციალიზაცია კი, რაღაც უტოპიური, რაღაც სლავიანურ რუსული, რომელიც საქართველოში რეაქციონურიც არის, რადგანაც თემობა, რაც იგივე სოციალიზაციაა პრიმიტიულად, ჩვენში დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ხალხი გაურბის მას და მიწადმფლობელობის უფრო პროგრესიულ ფორმას ეტრფის. ასეთ პროგრესიულ ფორმას წარმოადგენს მიწის კერძო საკუთრება. როგორც სოც. პარტია იგი „შეყვანილ" იქმნა მთავრობაში. და ამ დღიდან იწყება ამ პარტიის წაჯი-უკუჯიქობა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ, რაც პარლამენტი არსებობს, პარტია, მთავრობის პოლიტიკას კრიტიკულად შეხებოდა, ორი სამინისტრო სავარძელი ის ბურთი იყო, რომელიც ეჩარა პარტიას პირში და პირს არ აღებდა, რომ ეს „ბურთი" პირიდან არ დავარდნოდა. თუ ასეთი იყო მათი ყოფაქცევა პარლამენტში, უფრო კურიოზული იყო პარტიის „ტაქტიკა" სამინისტროებში. მაგალითად, განათლების სამინისტროს თბილისში „განათლების სამინისტროს" არავინ ეძახის და პირდაპირ ფედერალისტების სამინისტროს უწოდებენ, ფედერალიზმმა, ამ პარტიის წევრთა სახით. განსაკუთრებით ამ სამინისტროში მოიკალათა. პარტიულმა უნიჭობამ და არარაობამ საუკეთესო დაფასება ამ სამინისტროში ჰპოვა. ყოველი ფედერალისტი დაბადებით პედაგოგი გამოდგა. აქედან დასკვნა: სწავლა განათლების საქმემ, ცხადია, წინ ვერ წაიწია.

ფედერალისტების პარტიას ეგრედ წოდებული „ეროვნული პარტია" მისდევს. ამ პარტიას არც პროგრამა აქვს, არც ტაქტიკა და არც თუ პარტიაა. ამათზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილის მაგიერად, მათ ერთი ჩვეულება აქვთ. როგორც კი არჩევნები იწყება, ეს პარტია წუწუნს იწყებს, რომ უწინ ვიღაცასთან იყო, მერე ამ ვილაცას გაეყარა და ეხლა „ის არის და მისი ნაბადი". როგორც ღარიბ კაცს სჩვევია „ეროვნული პარტია" იმით იმშვიდებს თავს, რომ ის მდიდარი კაცის განაყოფია. ეს მდიდარი პარტია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაა. მაგრამ ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ლაპარაკის მეტი ამ პარტიას არა გააჩნია რა და დამფუძნებელ კრების არჩევნები კი დივერტისმენტი არ არის, რომ ცარიელ ლაპარაკში და ნაციონალურ ანეგდოტებში ვინმემ ტაში დაუკრას.

არის კიდევ ერთი პარტია, თუმცა სოციალისტური, მაგრამ მთლად დამარცხებული საქალაქო არჩევნებში. „მშრომელი ხალხის" პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია, ისე დამარცხდა, რომ საქალაქო არჩევნებში ერთი ხმოსანიც ვერ გაიყვანა.

რატომ? ნუ თუ თბილისში მშრომელი ხალხი არა ცხოვრობს, რომელიც ხმას მისცემდა ამ პარტიას? მშრომელი ხალხი კი სცხოვრობს, მაგრამ ამ მშრომელ ხალხს ის საღი ინსტიქტი აღმოაჩნდა, რომლითაც ამ პარტიის სპეციფიური რუსული კულტურა და

54

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი საარჩევნო კომიტეტი აცხადებს

# ყველა პარტიის წევრთა მობილიზაციას

ყოველი პარტიის წევრი უნდა გამოცხადდეს მახლობელ პარტიულ ორგანიზაციაში და სათანადო დავალება მიიღოს

## უკანასკნელი ცნობები

მთავრობის დადგენილებით ჯარში გაიწვევენ 24, 25, 26, 27 წლიანებს.

პარლამენტის საგანგებო სხდომა 18 თებერვლისათვის არის დანიშნული.

გოტაში შესდგა მუშ. და ჯ.-კ-თა დეპ. კრება რომელმაც 24 საათში ვეიმარიდან გვარდიის უკან გაბრუნება მოსთხოვა.

1-ლი და მე-2, სალაშქრო კორპუსები გამოსვლას იმუქრებიან თუ გერმანიის პრეზიდენტად ებერტი დარჩება.

ჰამბურგში სპარტაკელებმა ხელთ იგდეს საარტილიერიო ყაზარმები და იარაღი.

ბრემენში აჯანყების მსხვერპლი დიდია. ბრემენი განადგურებულია.

---

სკოლა იგრძნო და ზურგი შეაქცია. და ეს ბუნებრივია. რუსულ „რაზნოჩინების“ პარტიას ადგილი არ უნდა ჰქონდეს საქართველოში. მათი სოციალიზაცია ისეთივე აბსურდია, როგორც ფედერალისტების, მათი სოციალიზმი ისეთივე სამოქალაქო ომის ფილოსოფიაა, როგორც სოციალ-დემოკრატებისა.

ამიტომ არც ერთი ხმა ფედერალისტებს, არც ერთი ხმა „ეროვნულ პარტიას“, არც ერთი ხმა სოციალისტ-რევოლიუციონერებს — ხმა მიეცით ეროვნულ-დემოკრატებს.

---

**მოქალაქენო! ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ერთად-ერთი პარტიაა, რომელსაც შეუძლიან მოიპოვოს კეთილგანწყობილება კულტურულ ქვეყნების და მათი შემწეობით განამტკიცოს საქართველოს დამოუკიდებლობა. მიეცით ხმა სიას**

**№ 2.**

---

## პრესსა

**ვილსონი და მენშევიკური პროგრამა.**

ამერიკა განუსაზღვრელ შესაძლებლობის ქვეყანაა. ამ ორიოდე თვის წინათ სომხურმა გაზეთებმა მთელს ქვეყანას აუწყეს, რომ შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რუზველტი არარატის რესპუბლიკის პრეზიდენტობას დასთანხმდაო. სამწუხაროთ ჩვენ შეძლება არ მოგვეცა ეს ცნობა შეგვემოწმებინა, რადგან, როგორც მკითხველს მოეხსენება, რუზველტი გარდაიცვალა კიდეც. ადვილი შესაძლებელია, რომ როგორც ჰუმორისტული ჟურნალი „ახირებული“ სწერს, ის მართლაც ფარული დაშნაკელი იყო და საფლავში ჩაიტანა ბავშობის დროის ოცნება. ახლა გაზეთი „ერთობა“ ახირებულ ამერიკელების შესახებ არა ნაკლებ სენსაციურ ამბავს გვაუწყებს. თუ მენშევიკურ ოფიციოზს დავუჯერებთ, ვილსონი პირწავარდნილი მენშევიკი ყოფილა: ვილსონის პროგრამას, რომელსაც ამერიკელი დელეგატები პარიზის საზავო კონფერენციაზე იცავენ, თურმე ახასიათებს „სოციალიზმისკენ გადახრა, მისი პრინციპების მიკიბულ-მოკიბულად აღიარება“ ე. ი. სწორედ ის, რაც მენშევიზმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. „ერთობის“ მეთაური სწერს:

„ამერიკელები თავის მოთხოვნებში უფრო შორს მიდიან: ისინი თხოულობენ დაქირავებულ მუშათა საკითხში მიღებულ იქნეს ახალი თვალსაზრისი—მუშას მიეცეს ხელფასათ არა მისი არსებობის მინიმუმი, არამედ მისი ადამიანური ღირსების დასაცველათ საკმაო თანხა, რომ მან კულტურ. ქვეყნის კულტურულ ადამიანათ იგრძნოს თავი.

ეს კი ისეთი პრინციპია, რომელიც კაპიტალისტური ურთიერთობის უმთავრეს კანონს გაუქმებას უქადის. მუშის გადაქცევა მანქანიდან ადამიანათ—ასეთია მკრთალათ გამოთქმული აზრი ამ წინადადების. მაგრამ ეს ხომ სოციალიზმისკენ გადახრაა, ეს ხომ მისი პრინციპების მოკიბულათ აღიარებაა.

და განა გერმანიის რევოლიუციის წინაშე შეშინებულ კლემანსოს შეუძლია ასეთ პრინციპს დაადგეს? რასაკვირველია არა.

და ჩვენ უნდა ვაღიაროთ ამ ორი მოპირდაპირე პრინციპების შორის გარდაუვალი უფსკრული. კლემანსო ეძებს საშუალებას თავის სახელმწიფოს გამაგრებისას.

ვილსონის დელეგაცია კი სოციალურ გარდაქმნის პროცესს უწევს ანგარიშს. კლემანსო აწინდელ ვითარებას ამაგრებს, ვილსონი მომავლის სურათებს აფერადებს.

პირველი ერთიანათ თავის წვრილ ბურჟუაზიულ კონსერვატიულ სახელმწიფოს დასტრიალებს, მეორე კი სოციალურ პროგრესისაკენ ისწრაფის. პირველი სახელმწიფო ძალების გათანასწორებას ფიქრობს სხვისი დასუსტებით და აქედან მოელის მომავალში საფრანგეთის უზრუნველყოფას. მეორე კი მიზნათ ისახავს თვით სახელმწიფოს შიგნით ისეთ სოციალურ ცვლილების მოხდენას, რომ ამით თვით სახელმწიფოთა ურთიერთობა შესცვალოს. პირველი საგარეო ურთიერთობის შეცვლით იცავს შინაურ უცვლელობას. მეორე კი შინაური ურთიერთობის შეცვლით ფიქრობს საგარეო მდგომარეობაში ნამდვილ რევოლიუციის მოხდენას“.

ჩვენ ვშიშობთ, რომ ვილსონს ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ არ მოუვიდეს ის, რაც რუზველტს დაშნაკცაკანური ცნობის გამოქვეყნების შემდეგ მოუვიდა: თუ მახსოვრობა არ გვღალატობს დოლარების ქვეყნის ყოფილი უგვირგვინო მეფე გულის სიმძლით გარდაიცვალა.

---

**სოციალისტური პოლიტიკა ანადგურებს მრეწველობას, მეურნეობას, ალებ-მიცემობას და ნიადაგს ჰქმნის სპეკულიაციისათვის. ეროვნული დემოკრატია სცდილობს ეკონომიური ცხოვრება გააჯანსაღოს და ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს.**

---

## ბრძანება

**ქ. თბილისის, მისი მიდამოების და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორისა.**

საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის ბრძანებით ამ თვის 11 რიცხვიდან მე-16 №-ით მე დანიშნული ვარ ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორათ თბილისის და მის მიდამოებით გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის ასრულების გაგრძელების აღნიშნულ რაიონში ყველა სამხედრო ძალების და სამოქალაქო დაწესებულების დამორჩილებით.

გასაფრთხილებლად ყოველ გვარი ბოროტ მომქმედური გამოსვლისა და მყუდროების დარღვევისა ბორჩალოს მაზრის რაიონში. პირველად ყოვლისა მოუწოდებ მცხოვრებლებს დაიცვან სრული მყუდროება და იყვნენ დარწმუნებული, რომ ყოველ გვარი მტრული გამოსვლები, ვისგანაც არ უნდა იყოს, წინააღმდეგ არსებულ წესწყობილებისა და მცხოვრებლების უზრუნველ ყოფლობისა იქნება სასტიკად დასჯილი სამხედრო კანონების ძალით.

ვაუწყებ მცხოვრებლებს, რომ ბორჩალოს მაზრის კომისრათ დანიშნულია ალექსანდრე ფარნაოზის ძე აფაქიძე, რომელსაც ჩემ მიერ მიცემული აქვს განსაკუთრებული მინდობილებანი ადმინისტრატიულ მართველობის სფეროს მისდამი რწმუნებულ რაიონში, რის გამო ყოველ გვარ ადგილობრივ საკითხების გამოსარკვევათ უნდა მიმართოთ მას.

განსაკუთრებულ საკითხების გამო გთხოვთ აღნიშნულ კომისარის საშუალებით მომმართოთ მე.

მრწამს, რომ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებლები გამოიჩენენ საკმაო კეთილ გონიერებას აღმოუჩინონ დახმარება მთავრობის განკარგულებებს და უქსცესოთ დაემორჩილონ მისს კანონიერ მოთხოვნილებებს, რის გამო ბოროტ მომქმედი ელემენტებს და მტრებს რესპუბლიკისას არ ექნებათ საშუალება შეიტანონ არევ-დარევა მცხოვრებთა შორის.

გენერალ-გუბერნატორი **შ. მაღლაკელიძე.**

12 თებერვალი 1919 წ. ქ. თბილისი.

---

## სავალდებულო დადგენილება

ქ. თბილისის და მისი მიდამოების გენერალ-გუბერნატორისა, თანახმად წესდებისა იმ ადგილებზე, სადაც გამოცემულია სამხედრო წესები.

1. შესაცვლელად ადრე გამოცემული სავალდებულო დადგენილებათა საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ აკრძალულია ყოველგვარი მიძრაობა და ქუჩაში სიარული ღამის 12 საათის შემდეგ ვიდრე დილის 5 ნახ. საათამდე, ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატოროში, თუ ამაზე არ იქნება განსაკუთრებული ნებართვა.

2. ყველა თეატრები, კლუბები და სხვა გასართობი და სავაჭრო დაწესებულებანი უნდა დაიხუროს სწორედ ღამის 11 საათზე.

3. ყველა ადრე მიცემული ნებართვა, შესახებ ღამის 12 საათის შემდეგ ქუჩებში მიმოსვლისა, ითვლებიან გაუქმებულად. ახალი ნებართვებს ვაძლევ მე და ქალაქის მილიციის უფროსი.

4. ევალებათ ყველა მოქალაქეთ ქ. თბილისისა თან იქონიონ თავისი პასპორტები (პიროვნების მოწმობები) მიწერილი იმ კომისარიატებში, რომელშიაც სცხოვრობენ. მილიციის მოხელეებს პირველი მოთხოვნილებისამებრ, მოქალაქეები ვალდებულნი არიან წარუდგინონ მათ თავისი პიროვნების მოწმობა.

5. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით ციხეში დაპატიმრებით 1 ნახ. წლამდე ან დაჯარიმებით 10,000 მანეთამდე.

ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებისა.

გენ.-გუბ. **შ. მაღლაკელიძე.**

12 თებ. 12 1919 წ.

ქ. თბილისი.

---

## სავალდებულო დადგენილება

თბილისის და მის მიდამოების და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორისა გამოცემული თანახმად წესდებისა, შესახებ იმ ადგილებისა, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები.

განმეორებით მოვაგონებ ქ. თბილისის მცხოვრებთ ჩემს მიერ ადრე გამოცემულ სავალდებულო დადგენილების იმის შესახებ, რომ ყოველგვარი კრებები, მანიფესტაციები და მიტინგები, რომელსაც არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება მომავალი საქართველოს დამფუძნებელ კრებასთან აკრძალულია, თუ კი მასზე ყოველ კერძო შემთხვევაში არ იქნება არსებული სათანადო ნებართვა.

ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით ციხეში დაპატიმრებით 1 ნახევარ წლამდე ან დაჯარიმებით 10,000 მანეთამდე.

ეს დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

გენერალ-გუბერნატორი **შ. მაღლაკელიძე.**

13 თებერ. 1919 წ.

ქ. თბილისი.

---

## სომხის საზღვარზე

**სამხედრო მოქმედების შეწყვეტა.**

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური შტაბის ცნობით, შავი ზღვის პირას ინგლისის სარდლობის შუამავლობის შემდეგ სამხედრო მოქმედება შესწყდა, როგორც ჩვენი, ისე მათი მხრივ. ჩვენ ჯარებს უკავიათ პოზიციები მდინარე ბზიბაზე.

## ახალციხის ამბავი

ახალციხის მაზრაში 11 თებერვალს, ასკერთა და აჯანყებულ მცხოვრებთა ძალების ერთიმების შემდეგ, ჩვენი ჯარი, რომ მას გზა არ მოსჭრიდა უკან, ზურგში ამბოხებულ მაჰმადიან მცხოვრებთა მიერ, იძულებული გახდა უკან დაეხია. ახალციხეში მოწინააღმდეგე შევიდა.

## ინდო-ევროპის ტელეგრაფი

ინდო-ევროპის ტელეგრაფი, რომელიც რამოდენიმე ხანია შეჩერებული იყო, ინგლისელების მოსვლის შემდეგ ხელახლად დაიწყებს მოქმედებას.

თბილისის სადგურის უფროსად ა. ბ. ტერ-ზარსეგოვი დანიშნეს.

---

## ქრონიკა

**მობილიზაცია.** მთავრობის დადგენილებით თბილისის გუბერნიიდან ჯარში გაიწვევენ 24, 25, 26 და 27 წლიანებს. რადგანაც ქუთაისის გუბ. უკვე გაწვეულნი არიან 26 და 27 წლისანი, იქ გაიწვევენ 24 და 25 წლიანებს.

**პარლამენტის სხდომა.** საქართველოს პრეზიდიუმი ამით აუწყებს პარლამენტის წევრთ, რომ სამშაბათს, ამა თებერვლის 18-ს დანიშნულია საქართველოს პარლამენტის საგანგებო კრება და სთხოვს უეჭველად დაესწრონ ამ კრებას. დღიური წესრიგი—ეხლანდელი პოლიტიკური ვითარება. კრება გაიხსნება შუადღის 12 საათზე ქალაქის საბჭოს სხდომის დარბაზში.

**პარლამენტის ქვესტორი** მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს შემდეგს: სამშაბათს, 18 თებერვალს ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულ საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომაზე კერძო პირთა მოსათავსებელი ადგილების სიმცირის გამო აქამდის გაცემული მუდმივი ყველა ბილეთები, გარდა პარლამენტის და მთავრობის წევრთა, ძალას კარგავენ. ბილეთების მცირე რიცხვი გაწერიგებულია ფრაქციათა შორის, ხოლო პრესის წარმომადგენელთ, რომელთა რიცხვი განსაზღვრულია საგანგებო ბილეთი უნდა აიღონ ორშაბათს 11—1 საათამდის სასახლეში ქვესტორის თანაშემწესთან.

**ხურსათი სომხეთისათვის.** ინგლისის დელეგაციის წევრმა კემბელმა შეატყობინა სომხეთის სამშვიდობო დელეგაციას, რომ სტამბოლიდან სხვა და სხვა სურსათით სომხეთისათვის გემი გამოვიდა.

**ქურდობა.** ი. ა. ალიხანოვმა, რომელიც სცხოვრობს ნიკოლ. ქ. № 64, განუცხადა მილიციის უფროსს, რომ მისმა მოსამსახურემ ანნა დოლქენკოვისამ მოიპარა 10000 მან. ამიერ-კავკასიის ბონებით და 32000 მან. ძვირფასი ნივთები დოლქენკოვა შეიპყრეს. იგი გამოტყდა, რომ ნივთები მოიპარა და ფული კი შემოეხარჯა.

**ნაციონალიზაციის გამო.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა დათხოვნილ იქმნეს სამსახურიდან ნაციონალიზაციის განხორციელებისა გამო ქალაქის იურისკონსულტი ი. ი. ამირხანოვი და მიეცეს მას წლიური ჯამაგირი დასახმარებლად.

**სასურსათო განყოფილების შტატი.** ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ახალი შტატი გამგეობის სასურსათო განყოფილებისა. შტატი ძლიერ შემცირებულია.

**დათხოვნილთა შესახებ.** ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ერთ კერძო საქმის განხილვის დროს წამოსდგა პრინციპიალური საკითხი: უნდა მიეცეს თუ არა სამუშაო ფასი ანუ ჯამაგირი მოსამსახურეთა, რომელნიც გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სამსახურიდან იყვნენ გადაყენებულნი, იმ დროს, სანამ ისინი იძულებულნი იყვნენ ამ განკარგულებისა გამო უმუშაობაზე. ქალაქის გამგეობამ მსჯელობის შემდეგ გადასწყვიტა, რომ მათ იმ დღეების ჯამაგირი, როდესაც არ მუშაობდენ, არ ეკუთვნით და თუ არ არიან უკანვე სამსახურში დაბრუნებულნი ანუ არ შეიძლება მათი მიღება, მაშინ მათ უნდა მიეცეს მარტო სალიკვიდაციო შემწეობა საერთო ნორმით.

**თბ. ვ.ჟთა მეორე გიმნაზიაში** დანიშნულია გამოცდები ჯარში თავისუფალ შემსვლელთათვის მოწმობების მისაღებად 21 და 22 თებერვალს. თხოვნები სათანადო საბუთებით მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში 20 თებერვლამდე.

## პროვინციის ცხოვრება

**ქუთაისი**

გამოვიდა ეროვნულ პარტიის ორგანო „ერი“, რომელშიც მოთავსებულია წერილები: შ. ბუაჩიძისა და შ. ბუაჩელისა.

**ქ. თელავი**

თელავში გამოვიდა ყოველკვირეული მოწ. სამხატვრო-სალიტერატურო „ახალგაზდა ქართველი.“

---

## არჩევნებისათვის

მომავალ საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა მოქალაქე, ჩვენი ქვეყნის ქვეშევრდომნი, განურჩევლად პარტიისა, ჯგუფისა, მიმართულებისა, პროფესიისა, სარწმუნოებასა და სქესისა. ამ ჟამად ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ამომრჩეველ ქართველ სამღვდელოებაზე. იღებს თუ არა იგი მონაწილეობას ამ მნიშვნელოვან მომენტის დროს? თუ იღებს, საით უნდა იხრებოდეს მისი პოლიტიკური რწმენა, რომელია მისი პოლიტიკური პლატფორმა?

ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროა გადავხედოთ ჩვენ ისტორიას და იქიდან გავიგებთ, რომ საქართველოს სოციალურ და კულტურული მდგომარეობაში ჩვენი სამღვდელოება იღებდა თუ არა აქტიურ მონაწილეობას.

გავიხსენოთ დიდი თამარის დრო. ყველასათვის უწყებულია, რომ მაშინ დიდი საკულტურო მუშაობა იყო გაჩაღებული. ისტორიულ თხზულებების სიმრავლე ამ ხანაში საზოგადოებრივ აზრის მომწიფებას და გაღრმავებას ნათლად ამტკიცებს. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: ამ ხანშივე მომწიფდა და ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული თვითშემეცნებაც და ბევრი იმ აზრთაგან, რომელნიც შემდეგ საუკუნეში, ჩვენ დრომდისაც კი, ჩვეულებრივ მიღებული და გაბატონებული იყო და არის, სწორედ იმ დროს იყო შემუშავებული და გამოთქმული“. ქართულ-ეროვნულ თვითშემეცნების განმტკიცების და გამოკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში და ჩვენში ქართველთა მონასტრებს, სინას მთის და პალესტინისას, შავი-მთისას და განსაკუთრებით ათონის ივერთა დიდებულს ლავრას, მის დამაარსებლებს იოანეს და ექვთიმეს და გიორგი მთაწმინდელს.

ეს უკანასკნელი იყო ყოველ მხრივ ნაყოფიერი სამწერლოში სამეცნიერო დაწესებულება.

მხურვალე მონაწილეობას იღებს სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში და საერთოდ ეროვნულ საქმეში ქართველი ყველა გამოჩენილი ბერები და მღვდლები. გიორგი მთაწმინდელი მეცნიერი მთარგმნელი და ისტორიკოსი კი არ იყო, არამედ ამასთანავე გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, დემოკრატიული მოძღვრების მქადაგებელი და ქართულ ეკლესიის განახლების წინამორბედი. მან, მეფისაგან საგანგებოდ საქართველოში გამოწვეულმა, იმ დროს მამობრივი მზრუნველობა გაუწია და რითაც კი შეეძლო დამშეულთ ეხმარებოდა (იმ დროს ჩვენში დიდი შიმშილობა ყოფილა), დიდებს სულიერად ამხნევებდა, უმწეოდ დარჩენილ ბავშვებს ჰკრებდა და ასწავლიდა (ibid).

ექვთიმე და გიორგი იყვნენ ეროვნულ სინიდისის და კეთილშობილურის თავმოყვარეობის და თვით შემეცნების გამომხატველნი.

ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი ფას დადებულნი მუშაკნი იყვნენ როგორც ფილოსოფიურ აზროვნების ღრმად გამომხატველნი და ახალი მიმართულების შემტანი ფილოსოფიურ მსვლელობაში. თორნიკე ერისთავი იგივე შეუდარებელი სარდალი და შემდეგ ბერი მოღვაწე. ნუღარაფერს ვიტყვი თუ გინდა ფევდორე მღვდელზე, რომელმაც თავი დასდო სამშობლოსთვის, მტერი დაამხო, მეფე და მისი ჯარი განსაცდელისაგან იხსნა.

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენი სამღვდელოების კადრს ამშვენებენ ანტონ I კათოლიკოსი, ბერი ფილადელფოს კიკნაძე, მეთაური შეთქმულებისა რუსის მთავრობის წინააღმდეგ, ივანე ხელაშვილი, ბერი კირილ II დეკ. დ. ღამბაშიძე და სხვანი რომელნიც ყოველთვის მარჯვედ ბიღებდენ ალღის ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისას და სცდილობდენ ჩვენი ქვეყნის სვე—ბედი შესაფერისად გაწყობილიყო.

ჩვენი სამღვდელოება არც ახლა დაიხევს უკან და თავის სამწყსოს გვერდში ამოუდგება ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში რაც ძალა და ღონე შესწევს.

საზოგადოებამ მხოლოდ უნდა შეიცვალოს აზრი ამ წოდებაზე როგორც ისეთზე, ვითომც რომელიც დაუდევრობას იჩენდეს საქართველოს ბედის ტრიალში.

არიან აქაც, როგორც ერისკაცებშიც ჩამორჩენილნი, ნებსით და უნებლიეთ ცხოვრებას, მაგრამ ეს ყველას არ შეეხება. მშრომელ მოღვაწენიც არა ნაკლებ არიან მათ შორის. აი თუნდა დეკ. ქ. კეკელიძე, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიაშია მოთავსებული და რომელსაც ანგარიშს უწევს ევროპა როგორც მეცნიერს.

საითკენ წავა ფუთთან ხმის მისაცემად ჩვენი სამღვდელოება? თუ გადახედავს წარსულს თვის წინა პართა ნაღვაწ-ნაშრომს, როგორც ვთქვით, ის დარწმუნდება, რომ ჩვენი სამღვდელოების მოღვაწეობა მიმართული იყო პირველ ყოვლისა ერის, ეკლესიის შვილთა, კეთილ დღეობისაკენ. ჩვენი სამღვდელოებაში იყვენ მწერალ-მოღვაწე, ქველ-მოქმედი, სარდალი, პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, მასწავლებელი და სხ.

მაშასადამე, აი საითკენ წავა სამღვდელოება! ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის № 2 მისცემს ხმას: და მით დაუმტკიცებს ყველას რომ იგი მდგომარე ფხიზელი დარაჯია სამშობლო ერის და ეკლესიისა.

ხმა მიეცით სიას № 2-ს.

**ქ. გრძელი.**

---

## ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

**პარტიებისათვის ხარჯების ანაზღაურება.**

ცენტრალურ საპარლამენტო საარჩევნო კომისიის ძველი დადგენილებით პარტიებს უფლება ეძლეოდათ თავის თავზედ მოეღოთ ბიულეტენების ნაწილის გავრცელება და სამაზრო და საქალაქო კომისიები ვალდებულნი იყვნენ აენაზღაურებინათ მათი ხარჯები.

მაგრამ გამოირკვა, რომ ამ დადგენილებებს მრავალი დაბრკოლება გამოუწვევია და ზოგიერთ პარტიებს ძალიან ბევრი ფული მოუთხოვიათ.

მაგალითად თიანეთიდან ცენტრალურ კომისიას დეპეშა მოუვიდა, რომ ერთი პარტია ბიულეტენების გავრცელებისათვის 16 ათას მანეთს ითხოვდა. ამავე დროს სამაზრო კომისიას იმავე მაზრაში სხვა პარტიის ბიულეტენების გავრცელება მხოლოდ ერთი ათასი მანეთი დაუჯდა.

ყოველივე გაუგებრობის და ბოროტ-მოქმედების ასაცილებლად ცენტრალურმა კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზედ დააწესა შემდეგი ნორმა პარტიებისათვის გაწეულ ხარჯების ასანაზღაურებლად. ყოველ წაღებულ ბიულეტენში პარტია მიიღებს 2 კაპეიკს.

## სახალხო გვარდიელები

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა თხოვნით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ ხმები არ დაეკარგოდათ იმ გვარდიელებს, რომელთაც ბრძოლის ველზედ მოუხდათ წასვლა. ამასთანავე გვარდიის შტაბმა წარმოადგინა სია ფრონტზედ წასულთა და ნუსხა, თუ რომელ საარჩევნო პუნქტში არიან ისინი მიწერილნი. ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა, რომ გვარდიელებს უფლება მიეცეთ ხმა მისცენ ბრძოლის ველიდან დაბრუნების შემდეგ და მათთვის ცალკე იქნენ ყუთები დადგმულნი, იმ პუნქტებში, სადაც მიწერილნი არიან.

## რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

(ამონაწერი დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიდან).

**საარჩევნო ბარათების მიღება და დათვლა.**

53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები ფორმებით ერთნაირი უნდა იყოს.

55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 14, 15 და 16 თებერვალს, დამფუძნებელ კრების არჩევნებში

# ხმა მიეცით სიას № 2.

ვისაც საპირადო ბარათი არ მიუღია მიიღეთ თქვენი უბნის საარჩევნო კომისიაში. არ დაკარგოთ არც ერთი ხმა.

...ორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნომერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომდგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დარქმეული.

56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, არაგამჭვირვალი სფერთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

61. მთავარი საქალაქო და სოფლის ...ური საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას, ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღის.

62. საქალაქო და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირ-ამოჭრილ საარჩევნო ყუთებს, საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

64. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი, ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს, არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შეეძლოს ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი, ვისაც ცხადათ ეტყობა, რომ თვრალია.

68. თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანხმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავმჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წეს-რიგი დაირღვა. ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ისე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

73. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

76. ცენტრალ[ურ]ი საარჩევნო კომისიის განკარგულებ[ის] [თ]ანამებრ დამზადებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩაითვლება ისინი, რომელთაც ტექსტი ი[გივე] ნაირივეა.

შენიშვნა. საგანგებო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ [შ]ეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათებს, რომელიც შეუვსებელია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომრჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რაიმე, ან ამოფხეკილი ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტში დევს რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტია ბარათი და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა; თუ ერთ კონვერტში რამდენი ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლება.

**არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.**

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, ჩამოხევს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთის თვის ვადით ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა,

100. ვინც პიროვნებაზე ძალდობით, დასჯელის (наказуемый) მუქარით, მოტყუილებით, ძალაუფლების ბოროტად მოხმარებით ან ეკონომიურის დამოკიდებულების საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწესოების მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

102. ვინც უწესოებით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გამოიყენოს საარჩევნო უფლება,—დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს ამის წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადი ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რაიმე სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მიზნით.

100. ვინც განზრახ დაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა ან გამოკვლევის დროს, ან და განზრახ გააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალბით ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შეცვლის საარჩევნო წარმოებას,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შეცდაც დაისჯება.

108. ვინც, წინააღმდეგ კანონისა, გამოაშკარავებს ხმის მიცემის საიდუმლოებას დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება დატუსაღებით.

190. წევრი საარჩევნო კომისიისა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსვლელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოელის,—დაისჯება დატუსაღებით.

## პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ

14, 15 და 16 თებერვალს მთელს საქართველოში მოხდება დამფუძნებელი კრების არჩევნები.

ეს არჩევნები საბოლოოდ გადასწყვეტენ საქართველოს ბედს.

ჩვენი პარტიის ყველა ძალებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა არჩევნებში და დაამტკიცონ თავისი სიძლიერე, რომ დამფუძნებელ კრებაში განხორციელდეს ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკა.

ამ მიზნით არჩევნების დღეებისთვის, ჩვენი პარტიის მთავარი საარჩევნო კომიტეტი მთელს საქართველოში აცხადებს პარტიის წევრთა მობილიზაციას.

ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია 12 და 13 თებერვალს გამოცხადდეს მახლობელ პარტიულ ორგანიზაციაში და მიიღოს არჩევნების ხელმძღვანელ ორგანოებისგან სათანადო დავალება.

ქალაქ თბილისში მცხოვრებნი პარტიის წევრნი უნდა გამოცხადდენ შემდეგ ადგილებში:

1-ლ უბანში და საბურთალოზედ მცხოვრებნი უნდა გამოცხადდენ „ვერის" სარაიონო ბიუროში, ოლღას ქუჩა № 28. ბიურო ღია არის დილის 10 ნახ.—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 უბანში მცხოვრებნი უნდა გამოცხადდენ მე-2 უბნის ბიუროში, რომელიც იმყოფება ცენტრალურ კომიტეტის ბინაზედ, სასახლის ქუჩა № 5, „საქართველოს" რედაქციასთან.

მე-6 და მე-7 უბნებში მცხოვრებნი წმინდა მარინეს ეკლესიაში.

მე-8 და მე-9 უბნებში მცხოვრებნი—მესამე საკომისარო უბნის მომრიგებელ სასამართლოში (ტურგენევის ქუჩა, ვასილ ყიფიანთან).

მე-10, 11 და 12 უბნებში მცხოვრებნი ელისაბედის ქუჩა № 174, დოლიძის შენების საწყობში სადაც იმყოფება ბიურო და ღია არის დილის 9 ს.—2 ს. და საღამოს 4—7 საათამდე.

ვისთვისაც რაიმე მიზეზის გამო მოუხერხებელი იქნება ამა თუ იმ უბანში გამოცხადება, უნდა მიმართონ პირდაპირ მთავარ საარჩევნო კომიტეტს—სასახლის ქუჩა № 5, რომელიც ღია არის დილის 10 ნახ. 3 საათამდის და საღამოს 5—9 საათამდის.

**მთავარი საარჩევნო კომიტეტი.**

## არჩევნებისთვის

რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს გაცნობებთ, რომ დამფუძნებელი კრების ცენტრალური კომისიის დადგენილებით ფრონტზე წასული გვარდიელები არა ჰკარგავენ საარჩევნო უფლებას და მონაწილეობას მიიღებენ მაშინ, როდესაც მოხდება დამატებითი არჩევნები რესპუბლიკის იმ ნაწილებში, სადაც სხვა და სხვა მიზეზის გამო ეხლა არჩევნები არ ხდება გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ მათი ხმებით არავინ ისარგებლოს დღევანდელ არჩევნებში. გაწვეულ გვარდიელებთა დამატებითი სიების ჩვენთვის გამოგზავნა გთხოვთ განაგრძოთ.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**ინგლისური პრესა.**

**დრ. ზავის განახლებისთვის.**

საფრანგეთში ეხლა ხალხთა ლიგის შექმნაზე იმდენს არ მსჯელობენ, რამდენსაც დროებითი ზავის განახლების შესახებ. საფრანგეთის პრესას სახიფათოთ მიაჩნია შეთანხმების ჯართა დემობილიზაცია მაშინ, როცა გერმანიაში ჯერ კიდევ რამდენიმე მილიონი კაცი თოფ ქვეშ სდგას. ინგლისის აზრით დროებითი ზავის განახლების და საზავო ხელშეკრულების დადების მთავარი მიზანი არის: ევროპის განთავისუფლება მილიტარიზმისაგან. პირველათ უნდა განადგურდეს მილიტარიზმი გერმანიაში, არის ასეთი წინადადება: ეხლავე შეამცირონ გერმანიის ჯარი მშვიდობიან დროს რაოდენობამდე, რათა მოკავშირეებს შეიძლება მიეცეთ უფრო სწრაფათ მოახდინონ თავისი ჯარის დემობილიზაცია. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების აზრით ეხლა მოსალოდნელი არ არის, რომ გერმანიამ სამხედრო მოქმედება განაახლოს, პირიქით, ფრანგული პრესა, თუმცა აღიარებს, რომ გერმანია ერთობ მძიმე პირობებში იმყოფება, მაგრამ აღნიშნავს ეროვნულ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვების ტონს, რომელიც მოწმობს, რომ ხიფათი მოსალოდნელია.

**ვილჰელმის დაბადების დღესასწაული.**

შვეიცარიაში დაკავებულ რამდენიმე გერმანელმა აფიცერმა ვილჰელმ მეორის დაბადების დღე იდღესასწაულეს. მათ გამართეს ბანკეტი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს მონარქიის აღდგენისა და ელზას ლორენის დაბრუნების შესახებ. ლიუცერნში ყველა დაკავებული გერმანელები, მათ შორის ოფიცრებიც, ასეთივე მანიფესტაციებს აწყობდნენ, ვილჰელმის სადღეგრძელოს სვამდნენ და უსურვებდნენ მას გერმანიაში დაბრუნებას და მისი ყველა უფლებათა აღდგენის. ამის შემდეგ შეადგინეს დეპეშა ვილჰელმისთვის გასაგზავნად, მაგრამ დეპეშის ტექსტი იმდენად შეურაცხმყოფელი იყო მოკავშირეთათვის, რომ ტელეგრაფმა იგი არ მიიღო გასაგზავნად. გერმანელებმა გადააკეთეს დეპეშის ტექსტი, რომელშიაც მხოლოდ უსურვებდნენ იმპერატორს სამშობლოში დაბრუნებას და ეფიცებოდნენ ერთგულებას. დეპეშა ასე თავდება: „მიზანი საშუალებას ამართლებს".

**გემი „როშამბო".**

საოკეანო გემი „როშამბო", რომელიც თებერვლის 1 ნიუ-იორკიდან გამოვიდა, მიუხედავად ღელვარებისა მშვიდობიანად ჩამოვიდა და ჩამოიყვანა 1665 მგზავრი.

**რადეკის დაპატიმრება.**

ვოლფის სააგენტოს ცნობით, ოთხშაბათს რადეკი დააპატიმრეს თავის სახლში, შარლოტენბურგში მას ჩამოართვეს დიდძალი ფული და მნიშვნელოვანი საბუთები.

**დიდ საერთაშორისო კავშირის შექმნა**

სამხედრო კომისიაში საფრანგეთმა წარადგინა პროექტი, რომელიც შეიცავს წინადადებას შეიქნას დიდი საერთაშორისო კავშირი ხალხთა ლიგის წევრ ქვეყნებისგან. ამ კავშირის ყოველი წევრი მოვალე იქნება გაგზავნონ ჯარი ლიგის იმ წევრის დასახმარებლათ, რომელსაც ესა თუ ის სახელმწიფო თავს დაესხმება. ფიქრობენ, რომ ამერიკა ამ პროექტის წინააღმდეგი არ იქნება.

**ბოლშევიკური ცნობა**

**მოსკოვი**, 13 თებერვალი. (ც. ა. ქ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი). აღმოაჩინეს ესერების შეთქმულობა. უკანასკნელ ხანებში ჩრდილოეთის მემარცხენე ესერების საოლქო და პეტერბურგის კომიტეტი ავრცელებდა ლიტერატურას №. ვილემსკში სცემდა გაზეთ „ნაშ პუტ"-ს და აგიტაციას ეწეოდა მთავრობის წინააღმდეგ. ამ გვარათ თებერვლის 3 გაზეთ „ნაშ პუტ"-ში მოთავსებული იყო სამხედრო საკითხზე მემარცხენე ესერების პარტიის საბჭოს რეზოლიუცია, რომელიც აუცილებლათ სთვლის პოლიტიკურ და სამხედრო სამზადისს... (დამახინჯებულია). მობილიზაციის შეჩერებას და წითელ არმიის რიცხვის შემცირებას, 15 29 დეკემბერს მომხდარ კონფერენციაზე მემარცხენე ესერებმა გადასწყვიტეს პარტიის საგუბერნიო კომიტეტებთან დაარსონ შემდეგი განყოფილებები, რომელიც მოაწყობს ბოლშევიკების საწინააღმდეგო გამოსვლებს და სეაქსპროპრიატორო და ტერორების აქტებს, სამხედრო ნაწილებში დაარსებს პარტიულ იაჩეიკებს და შეადგენს პარტიზანულ რაზმებს. ამავე კონფერენციაზე გადასწყვიტეს მოახდინონ გლეხთა აჯანყება. გამოითქვა კატეგორიული პროტესტი წითელ არმიის არსებობის შესახებ. 20 იანვარს 1919 წელს პეტროგრადში შესდგა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ყველა მემარცხენე ესერების ორგანიზაციების წარმომადგენელი. პარტიის ც.-კომიტეტმა შეიტანა წინადადება განიხილოს საკითხი ბოლშევიკ-ბელადების წინააღმდეგ ტერორის შესახებ. კონფერენციამ მოიწონა ეს წინადადება შენიშვნით, რომ ტერორისტული აქტები გუბერნიის და პარტიულ კომიტეტების ნებართვით უნდა მოხდეს. ამ აქტების განხორციელებას და აღსრულებას თავის წევრებს საიდუმლოთ დაავალებს და არა პარტიის სახელით, რომ არ გამოიწვიონ რეპრესიული ზომები ბოლშევიკების მხრით. აღნიშნულ ტაქტიკით უნდა იხელმძღვანელონ ც. კომიტეტის ახალ განკარგულებამდე. ც. აღ. კომიტეტს მოულოდნელათ ჩაუვარდა ხელში ხარკოვიდან გაგზავნილი წერილი, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ მემარცხენე ესერებს შემუშავებული აქვთ პლანი ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ და სრულიად რუსეთის მთავრობის შესადგენათ. წერილის ავტორს არ მოსწონს წინანდელი პოლიტიკა და ბრძოლის სხვა საშუალებებზე უთითებს.

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს" რედაქციის ფონდი.**

**დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.**

**მოსკოვი** ამან აიძულა ც. კომიტეტი მემარცხენე ესერებისთვის თვალყური ედევნებიათ, რომელმაც გამოარკვია, რომ ისინი ორპირათ მოქმედებენ: უკრაინაში მემარცხენე ესერებს უნდოდათ ესარგებლათ ამბოხებით და ხელში ჩაეგდოთ ძალა-უფლება. ლიტვაში კი გააგზავნეს თავიანთი ბელადები კამკოვი, ტრუტოვსკი, კრონიკი და სხვები, რომლებიც იქ არალეგალურათ მოქმედებდნენ. ამ ჯგუფის მიზანი იყო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ყველა მათ გამოსვლას თან ახლდა მოწოდება—აჯანყებულიყვნენ ხალხოთა მთავრობის წინააღმდეგ. ცენტ. კომიტეტმა დააპატიმრა მემარცხენე ესერების თვალსაჩინო წევრი სპირიდონოვა, რომლის საქმე გადაეცა ტრიბუნალს. შტეინბერგი—ყოფილი იუსტიციის კომისარი, ტრუტოვსკი, რიბინი, პროკოპოვიჩი, როზენბლიუმი, სიროტა, კრონიკი და სხვები. ამათი საქმეც მალე გადაეცემა ტრიბუნალს. დაპატიმრებულნი, სპირიდონოვას გარდა, რომელიც კრემლში ზის ბუტირის ციხეში სხიან. გუშინ აღმოაჩინეს მოსკოვში კონსპირატული ბინა რომელიც კრონიკს ეჭირა. ბინაზე ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს არალეგალური სტამბა და კრემლის კომენდანტის ყალბი ბეჭედი.

**ველსკი.** თებ. 9. ყველა განთავისუფლებულ ოლქებში საბჭოები სდგება. შენკურსკიდან გაქცევის დროს თეთრგვარდიელებმა და მოკავშირეებმა გაიტაცეს სამაზრო ხაზინიდან ფულები.

**კიევი.** 12 თებ. ვილნოში რუსის ფულის ფასმა აიწია. 1000 კარბოვანცი ღირს 940 მანეთი.

**ნიკოლაევი.** თებ. 12. რკინის გზათა სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა პოლიტიკურ ნიადაგზე გაფიცვა გამოაცხადა.

**მუშ. და ჯ. კ. დეპ. კრება გოტაში.**

**ნაუენი**, თებ. 9. გოტში შესდგა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების კრება, რომელმაც მოითხოვა მთავრობისგან 24 საათის განმავლობაში ვეიმარიდან გვარდიის უკან დაძახება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან საყოველთაო გაფიცვებით და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ გამოსვლით. 1 და 2 საარმიო კორპუსების წითელ ჯარის კაცთა საბჭოს წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ ასეთივე ზომებს მიმართავენ თუ ებერტს დროებით პრეზიდენტათ აირჩევენ.

**სპარტაკელების მოქმედება.**

**ჰამბურგი** თებ. 5. სპარტაკელებმა ხელთ იგდეს საარტილერიო ყაზარმები და იარაღი აყარეს იქ მყოფ ჯარს, რომელიც ჯარისკაცთა საბჭოს არ დაემორჩილა. რკინის გზის მოძრაობის შეწყვეტის გამო ბირჟა დაიკეტა. წინა ღამეს სპარტაკელები რამოდენიმე ალაგას თავს დაესხნენ მოდარაჯე ჯარის ნაწილებს. ოთხმა გაიმარჯვეს და იარაღი წაართვეს ჯარისკაცებს. სხვა ადგილებში მთავრობის ჯარმა ესინი მოიგერია. სპარტაკელებმა ნავთსადგურში შეჭრა სცადეს, მაგრამ უკუ აქციეს.

**ბოლშევიკური მოძრაობა რუმინიის ჯარში**

**ბუდაპეშტი**, თებერვლის 4. „ფორვერტს"-ის ცნობით რუმინიის ჯარში ბოლშევიკური მოძრაობა თანდათან ძლიერდება. ბუქარესტის ყაზარმებში ჯარისკაცებმა მოახდინეს კრება და მოითხოვეს ჯარისკაცთა საბჭოს არჩევა. პოლკის უფროსი გადააყენეს.

**უწესოება ბერლინში**

**კარნავონი**, 10 თებერვალი. შაბათს ბერლინში დიდი უწესოება მოხდა სპარტაკელების ხელმძღვანელობით. მეზღვაურებმა და ჯარისკაცებმა, პოლიციის ყოფილ უფროსის ეიხგორნის ხელმძღვანელობით, დაიჭირეს ალექსანდრეს მოედანი. მთავრობის ჯარმა მათ სროლა აუტეხა. მოკლულია 8, დაჭრილია 40. გერმანიის ცენზურა არ უშვებს დაწვრილებითი ცნობებს.

**მონარქისტები.**

პორტუგალიის რესპუბლიკანურმა ჯარმა დაამარცხა მონარქისტები.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**სტამბოლში**

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ იანვრის გასულს და თებერვლის დამდევს შინაგან საქმეთა მინისტრის იზეთბეის ორდებით დაატუსაღეს მრავალი ცნობილი მოღვაწე კომიტეტის: „ერთობა და პროგრესის" წევრები რიცხვით 25 კაცი, რომელიც მოათავსეს სახელმწიფო სატუსაღოში. დატუსაღებულთა უმეტესობა აფიცრებია. მათ შორის არიან: მაჰმუდ ქიამილ ფაშა, ვეჰიბ ფაშა, ჯევალ ბეი ენვერის ბიძა სეიფ ბეი, შერიფ ბეი და მიდხათ შუქრი ბეი სავაჭრო და მიწათმოქმედების ყოფილი მინისტრი.

**სოციალიზმი ბულგარეთში**

ბულგარეთში სოციალიზმის იდეის გავრცელება დიდ შედეგებს აღწევს, სოფიაში გამოსულ მიტინგზე იღებდა მონაწილეობას 10.000 კაცი. კრებები იმართება ბულგარეთის სხვა ქალაქებშიაც. მუშათა შორის ძალიან გავრცელდა ბოლშევიზმის იდეა.

**ვილჰელმის დაბადების დღე**

ამეღიჰენში სადაც სცხოვრობს ვილჰელმი თავის მეუღლით ვილჰელმის დაბადების დღეს გადაიხადეს სამადლობები დღესასწაული. ვილჰელმის საცხოვრებელი ოთახები მორთული იყო ყვავილებით და თაიგულებით, რომელიც გამოუგზავნეს ვილჰელმის პატივისმცემლებმა.

**ტრაპიზონი**

ტრაპიზონში ძალა-უფლება ოსმალების ხელშია. ქალაქს განაგებს ოსმალეთის ვალი და ინგლისის მაიორი.

**მთიულები და მოხალისენი**

მთიელთა მთავრობის მოთხოვნით, რომლის მოთხოვნილებას მხარს უჭერს კავკასიაში მყოფ მოკავშირეთა მთავარი სარდლები მოხალისეთა ჯარის ნაწილები სცლიან მთიელთა ტერიტორიას.

**მთიელთა დელეგატები**

მთიელთა მთავრობის დელეგატები მესამე დღეა რაც გაემგზავრნენ თბილისიდან კავკავისკენ.

**ებრაელთა დარბევა**

ვლადიმირ-ვოლინსკში ებრაელთა დარბევა დაიწყო.

**ამიერკავკასიის გაერთიანება**

ბაქოს პროფესიონალურ კავშირის საბჭომ აირჩია საორგანიზაციო კომისია ბაქოში მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციების ყრილობის მოსაწვევად ყრილობის მიზანია: მ. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ მთლიან რესპუბლიკად გაერთიანება. კომისიამ გადასწყვიტა გაეგზავნოს თავის წევრები განჯაში, თბილისში და ერევანში მომავალი ყრილობის მოსამზადებელ მუშაობისთვის. ყრილობას მოიწვევენ დაახლოებით 15 მარტს.

## ძალადობა არჩევნებში!

ეხლანდელ არჩევნების კომპანია მოაგონებს არჩევნების ხანას რუსეთში, სადაც ბოლშევიკებს ძალა-დატანებით სურდათ გაეყვანათ დამფუძნებელ კრებაში თავიანთი კანდიდატები ისე, როგორც ეს ხდება ჩვენში. საარჩევნო ბიუროსთან იდგნენ შეიარაღებულნი წითელ რაზმელები და ზურგში კონდახების დაკვრით უთითებდნენ მოქალაქეებს თავიანთ პარტიის სიის ნომერს. მადლობა ღმერთს—საქართველო ეხლა რუსეთის გუბერნია არ არის და ნუ თუ ჩვენს მართველობას ჰკუა და ღონე არა აქვს დროზე შეაჩეროს უკანონო მოქმედება იმ აღვირახსნილ ვაჟბატონებისა, რომელნიც ამ ჟამად სააგიტაციოდ პირველი ნუ-

55

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერის სიით გამოდიან? მაგალითად, გუშინ ერთ ნაცნობ მეპურეს საагიტაციო ფურცლები შეეტანე დუქანში დამსწრე ხალხთან აუხსენი მას მიზანი და მისწრაფება ერ.-დემ: პარტიისა. რა თქმა უნდა სოც.-დემოკრატიის პარტიასაც არ ვეარშიყე და ნილაბი ჩამოვხადე მათ ორტოდოქსალურ სწავლებას, დამსწრე მილიციონერს ჩემი კრიტიკა არ ეჭაშნიკა და ბრძანების კილოთი მოითხოვა შემეწყვიტა აგიტაცია: ჩემი მხრით მეც მოვაგონე მას კანონის ის მუხლი, რომლის ძალითაც იგი ჩაბრძანებულ იქმნება ციხეში, თუ თავს არ დამანებებს და განაგრძობს აგიტაციაში ჩარევას. დასასრულ ინციდენტისა, მეპურემ და დამსწრე პირებმა „ბატონი“ მილიციონერი გარედ გაიყვინეს. ინგლისში ამისთანა ვაჟბატონების ციხეში ჩასმის გარდა სამოქალაქო უფლებებსა ხსნიან; აქ კი თურმე ამისთანა შემთხვევა (ადმინისტრაციის ჩარევა არჩევნებში) ჩვეულებრივი ყოფილა. ძალადობა და თვითნებობა ბოლშევიკურ ხასიათისა არჩევნების დროს—ანარქიაა, და არა ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი შენება. ეს კარგათ ესმით პირველ ნუმრის ბელადებს და, მაშინ, როდესაც ამ არჩევნებით საქართველოს ბედ-იღბალი ჰსწყდება იგინი არ იცავენ მოქალაქის უფლებას თავისუფალ პოლიტიკურ აზრების გამოთქმის დროს.

**პავლე მოხულიშვილი.**

## მუნიციპალ. ცხოვრება

**გამგეობის შემადგენლობის საკითხი.**

ქალაქის დღევანდელ გამგეობის წევრების აზრით საჭიროა ქალაქის მოურავით ერთად გამგეობაში უნდა შევიდეს რვა კაცი. განყოფილება ასე განაწილდება: 1) მოურავი განაგებს ა) საერთო კანცელარიას, გ) კანტროლს, დ) აქვს საერთო ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა. 2) ერთი ქალაქის მოურავის ამხანაგი სასურველია განაგებდეს საფინანსო განყოფილებას, რომლის მნიშვნელობა ეხლანდელ მომენტში ფრიად დიდია. 3) მეორე ამხანაგი ან გამგეობის წევრი სასურველია განაგებდეს ადმინისტრატიულ ნაწილს, ქალაქის მილიციის და ცეცხლის მქრობელ რაზმით.

ამ ორ ამხანაგ შორის უნდა განაწილდეს ზოგიერთი წარმომადგენლობაც, მოურავთან შეთანხმებით. დანარჩენ ხუთ წევრთა შორის განყოფილებები განაწილდება ასე:

2) საამშენებლო და წარმოებათა განყოფილება უნდა ჩაბარდეს სპეციალისტს, 2) აგრეთვე სახალხო განათლების განყოფილებაც, 3) სასანიტარო, საექიმო და პატრონობის გაწევის განყოფილება, 4) ქალაქის მიწები, ბინების გამწესრიგებელი და შრომის განყოფილებები. 5) სასურსათო განყოფილება. გამგეობის წევრს ეყოლება ორი თანაშემწე.

## ზემო სვანეთის დელეგაცია მთავრობის წინაშე

12 თებერვალს სვანეთის დელეგაცია წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას. დელეგაციის თავმჯდომარე გაბლიანმა მისასალმებელ სიტყვით მიჰმართა:

„ნება მოგვეცით მუდამ თავისუფლების მოტრფიალენი მოგესალმოთ სვანეთის სახელით.“

თქვენ ბედმა გარგუნათ საქართველოს აღდგენაში ბელადობა და გისურვებთ რომ შესძლოთ საქართველოს იმ გზაზედ დაყენება, რათა მან იარსებოს მომავალში სახელოვანად.

უძველეს დროიდგან კავკასიის მთებ შუა მომწყვდეული სვანები ამ ბოლო დროს ერთობ ჩამორჩით ცხოვრებას, არსებულ ადგილობრივ ბუნებრივ და გეოგრაფიულ პირობების წყალობით. ვხედავთ იმასაც, რომ ამისთანა დროს მთავრობამ ვერ მოგვაქცია ჯეროვანი ყურადღება და ამიტომ ჩვენ თვითონ ჩამოვედით მის საძებრათ და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობათ.

მართალია ჩვენ დაშორდით დანარჩენ ქართველებს მე-VII საუკუნეში ქრისტეს შობამდე მცირე აზიაში, მაშინ, როდესაც ახურელებთან ორასი წლის განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლით დაქანცული ქართველები კიიმერლებისა, ხაზარებისა და სხვა ველური ხალხების შემოსევის წყალობით იყვნენ აყრილნი და დევნილნი, მაგრამ მრავალი ისტორიული საბუთები მოგვითხრობენ, რომ სვანები როგორც მანამდი აგრეთვე მის შემდეგაც ყოველთვის საქართველოსთან მჭიდროთ იყვნენ დაკავშირებული ჭირში და ლხინში. ამას სხვათა შორის გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეფეებს ყოველთვის დიდი ყურადღება ჰქონდათ სვანეთზე მიქცეული და სვანებიც მათი ერთგულნი ქვეშევრდომნი იყვნენ. მაგალ. დავით აღმაშენებელმა დაიწყო სვანეთში ეკლესიების აშენება და ქრისტიანობის გავრცელება. თამარ მეფის მამის დროს სვანებმა შანშე დადიანის მეთაურობით აიღეს სომხეთის სატახტო ქალაქი ანისი.

თამარ მეფე, რომლის სახელიც სილამაზისა და დიდების შარავანდედით არის შემკული სვანეთის მეხსიერებაში, იყო ჩვენი მწყალობელი. მან ბევრი ტაძრები ააგო სვანეთში და მრავალი ხატ-ჯვარით შეამკო ისინი. ამიტომ გიორგი რუსის ჩაგონებით თამარის მსახურთ უხუცესის ვარდან დადიანის მიერ თამარ მეფის საწინააღმდეგოდ აჯანყებულმა სვანებმა თვით გიორგი რუსი დაიჭირეს და და ხელ-ფეხ შეკრული თამარ მეფეს მიუყვანეს.

მეექვსე საუკუნეში კოლხებისა და სვანების შეერთებული ლაშქარი ერთად ებრძოდენ სპარსელებს, აიღეს ქალაქი პეტრა და დაანგრიეს ციხე საძირკვლებამდე. ამისთანა საარაკო იერიშები მტრის წინააღმდეგ სვანებს მრავალჯერ მიუტანიათ.

მრავალი ხატ-ჯვარი, ძველი ხელთნაწერები და სხვა საეკლესიო სიმდიდრე და ის ძველი ნაშთები, რომლებიც სვანეთმა დღემდის დაიცვა და შეუნახა საქართველოს, არიან საუკეთესო მოწამე სვანებისა და დანარჩენ ქართველების ერთიანობისა და მათი ბრწყინვალე წარსულისა.

დღეს, როდესაც მონობის ბორკილები დაიმსხვრა და თავისუფლების მზე სვანეთსაც მოეფინა, ჩვენც გვინდა დარაჯად დაუდგეთ თავისუფლებას და თქვენთან ერთად ვიბრძოლოთ მის მტრების წინააღმდეგ. ამიტომ გთხოვთ ახლა მაინც ყურადღება მიაქციოთ მას, პატრონობა გაუწიოთ მას და გამოიყვანოთ ჩვენი ერის საკეთილდღეოთ ეს ჯანსაღი ხალხი და სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრე.

შემდეგ დელეგაციამ წარადგინა მოხსენება, რომელშიც წამოყენებულია შემდეგი:

1. სვანეთი ოდესღაც კულტურის მატარებელი, ყოველთვის ყოფილა განუყრელი ნაწილი საქართველოისა და დღესაც მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, რომლის განმტკიცებისათვის იგი მზად არის თავიც შესწიროს.

2) ეთხოვოს უმაღლ. მთავრობას, რათა მან სვანეთში თავის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია გამოგზავნოს, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა ყოველ მხრივ სვანეთის მდგომარეობას, ხალხსაც აუხსნის მთავრობის მოთხოვნილებებს და ამ კომისიასვე მიენდოს სვანეთის იარაღის აყრის საქმე.

3. ზოგიერთ ახალგაზრდა სვანებს ბრალი ედებათ მეზობელ ხალხისაგან საქონლის მოტაცებაში—ეთხოვოს მთავრობას, ეპატიოთ იმ პირებს, რომელნიც დაზარალებულთ შეურიგდებიან და დააკმაყოფილებენ მედიატორულ წესით.

4) ეთხოვოს მთავრობას, რომ სვანეთს მიეცეს ნება მედიატორული წესით მორიგებისა, ვისთანაც უკმაყოფილება აქვთ ამა თუ იმ საქმეზე.

5. ვინაიდან სვანეთი მოწყვეტილია უგზო-უკვლობისა გამო კულტურულ ცენტრს, რომლის მიზეზითაც ყოველგვარი კულტურული წარმატება შეუძლებელია,—ეთხოვოს მთავრობას, რაც შეიძლება მოკლე ხანში სვანეთში იქმნეს გაყვანილი გზები — უმთავრესი ფაქტორი ალებ-მიცემობისა და კულტურისა. სვანეთი ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია მრავალ-გვარი სიმდიდრით (ოქრო-ვერცხლი, ხე-ტყე და სხვა მადნეული), უეჭველია გზების გაყვანა ხელს შეუწყობს სიმდიდრის გამოტანას და ცენტრთან გაერთიანებას.

6. მსაჯულის ადგილობრივ უყოლობისა გამო სვანეთი ვერ შეეგუა კანონებს და თავისებურათ განაგრძობს თავის დაკმაყოფილებას, ამიტომაც გახშირდა სისხლის აღება. მეტისმეტად საჭიროა სვანეთში მუდმივად იყოს 2 მსაჯული.

7. ეთხოვოს მთავრობას რათა ნება დაერთოს სვანეთმა თავის მხრით სამი წარმომადგენელი აირჩიოს დამფუძნებელ კრებაში.

8. ყოველგვარი არჩევნები სახალხო დაწესებულებებისა სვანეთში გადადებულია, თითქოს სვანეთს არ შეეძლოს საზოგადო ფერხულში ჩაებას, ამის მიზეზით კი სვანეთის ინტერესები ილახება; გადადებულია ერობის არჩევნები და მოწყალებასავით დარჩენილია სვანეთისათვის ხუთი ალაგი მაშინ, როდესაც რიგით მას მთელი მაზრის ხმოსანთა რიცხვის მიხედვით მეოთხედი მაინც უნდა ჰყავდეს, ამის გამო ეთხოვოს მთავრობას—სვანეთს მიეცეს უფლება თავის მხრით სამაზრო ერობაში აირჩიოს ათი წევრი.

9. გაიხსნას სვანეთში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

10. მეურნეობის გასაუმჯობესებლად გაიხსნას სვანეთში ერთი სამეურნეო სასწავლებელი და ორი პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი.

11. სამღვთო სჯულის განდევნაზე სკოლებიდან, სვანეთი უთანხმოებას აცხადებს.

12. ეთხოვოს მთავრობას ზემო სვანეთის სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვეული ახალგაზდები იწვრთნებოდენ ადგილობრივ სვანეთში, რისთვისაც გაგზავნილ უნდა იქმნენ საჭირო ინსტრუქტორები.

ბ-ნ ჟორდანიამ მოისმინა რა ყოველივე დელეგაციას დახმარება დაჰპირდა, რისიც სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, იმედია დღეიდან მაინც მიექცევა სვანეთს ჯეროვანი ყურადღება, რასაც მთავრობის თავმჯდომარის გულთბილი დახმარება გვაიმედებს.

**ი. გულედანი.**

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო
ვლადიმერ შატბერაშვილისა

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

ზომიერ ფასებში

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

**მისამართი:** სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114—3 პატივისცემით **ვლ. შატბერაშვილი.**

ექიმი
ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

ტ.—25—2305

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძე
ქავთარაძისა

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმ
ა. ვ. ლევენშტეინისა

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილო ის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.

(თვ. 2075—4.)


## ჩვენი კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის

# სია № 2

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პ რტიისა.

1. ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე, პარლამენტის წევრი, საქართველოს დელეგაციის წევრი საზავო კონფერენციაზე.
2. კედია სპირიდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი, ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.
3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე, პარლამენტის წევრი, გაზ. „საქართველოს“ რედაქტორი.
4. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, ნაფიცი ვექილი, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.
5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე, პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
6. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე, ნაფიცი ვექილი, პარლამენტის წევრი.
7. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე, პარლამენტის წევრი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე, ჟურნალისტი.
9. ამირეჯიბი შალვა გრიგოლის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი.
10. ივანიცკი რაფიელ (რ. ინგილო) ალექსანდრეს ძე, პარლამენტის წევრი, იურისტი.
11. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე, პარლამენტის წევრი, ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
12. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, სამეურნეო ბანკის დირექტორი, ქალაქის ხმოსანი.
13. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე, ფილოსოფიის დოქტორი, მთავარი საერობო ინსტრუქტორი.
14. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე, ქუთაისის ქალაქის ხმოსანი, პარტიის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე.
15. ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, საქართველოს დელეგაციის მრჩეველი.
16. წერეთელი ვასილი გიორგის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი. ექიმი.
17. შევარდნაძე მიხეილ ირაკლის ძე, უფლების დოქტორი.
18. ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო რევიზორი.
19. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, ნავთის მრეწველი.
20. კეკელიძე კორნელი-დეკანოზი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
21. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე, ჟურნალისტი, ქართველი ისრაელი.
22. წერეთავა ნიკოლოზ ესტატეს ძე, თბილისის ხმოსანი, ქართველ ვაჭარმრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
23. ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, ქუთაისის ვაჟ. გიმნაზიის დირექტორი.
24. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე, ფინანსისტი. საზოგადო მოღვაწე.
25. ჯაფარიძე ლევან (ლელი) სიმონის ძე, ლიტერატორი.
26. თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე, სამუნიციპალო მოღვაწე.
27. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე.
28. ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე, მწერალი, საკათალიკოსო საბჭოს წევრი.
29. ოცხელი იოსებ ივანეს ძე, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი.
30. ყიფიანი ვასილ როსტომის ძე, სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე.
31. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.
32. პურადიშვილი ივანე ისაკის ძე, აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველი.
33. კვირკველია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქართულ იურიდიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
34. დადიანი იოსებ იულონის ძე, ინჟინერი, ნავთის მრეწველი.
25. ძიძიშვილი ნოე სიმონის ძე, იურისტი, კომერსანტი.
36. მამულაიშვილი ლევან ქაიხოსროს ძე, იურისტი, ნავთის მრეწველი.
37. თუმანიშვილი პავლე იოსების ძე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.
38. პაპავა ბარნაბ ამბაკოს ძე, ინჟენერი შავი ქვის მრეწველი.
39. მეუნარგია იონა მიხეილის ძე, მწერალი, ზუგდიდის მაზრის ერობის ხმოსანი.
40. სულუხია მოსე ივანეს ძე, გერმანულ-კავკასიური ბანკის დირექტორი.
41. საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
42. ჯავახიშვილი (ადამიშვილი) მიხეილ საბას ძე, ჟურნალისტი.
43. ციცქიშვილი ვასილ მიხეილის ძე, მასწავლებელი.
44. ელიავა გრიგოლ ლავრენტის ძე, ექიმი, ბათომის ხმოსანი.
45. ქიტიაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, ქიმიკოსი, გორის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე.
46. ჟორდანია გიორგი თევდორეს ძე, ნაფიცი ვექილი.
47. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი, საქართველოს პრესბიუროს თავმჯდომარე.
48. ნასიძე ივანე აბრამის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
49. ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, მრეწველი, თბილისის საბჭოს ხმოსანი.
50. ედილაშვილი ზაქარია (ზ. ედილი) ერმოლოზის ძე, მწერალი.
51. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე, ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
52. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.
53. ხუსკივაძე თეოფილე იესეს ძე, ნოტარიუსი, ბელეტრისტი.
54. გვეტაძე იოსებ იოსების ძე, ვაჭარი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
55. დადიანი ილია ილიას ძე, იურისტი, ზუგდიდის ქალაქის თავი.
56. ჯაიანი ბესარიონ ლევანის ძე, ბუღალტერი.
57. გუჯეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე, მასწავლებელი.
58. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
59. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე, ნაფიცი ვექილი.
60. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, პროვიზორი.
61. მგალობლიშვილი ვასილ გიორგის ძე, ამიერ-კავკასიის ბანკის რწმუნებული ბათუმში.
62. კლიმიაშვილი ზაქარია მიხეილის ძე, თელავის გიმნაზიის დირექტორი.
63. გვალია მიხეილ ოტიას ძე, ნოტარიუსი, ზესტაფონის ქალაქის თავის მოადგილე.
64. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე, კომერციის ინჟენერი.
65. გოგიტიძე გერმან იოსების ძე, ოზურგეთის ხმოსანი.
66. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე, მრეწველი.
67. ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე, იურისტი.
68. ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე, ექიმი.
69. შალიბაშვილი გიორგი მიხეილის ძე, თბილისის სასოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი.
70. ტატიშვილი შალვა გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
71. კუფარიძე ბარნაბ სოლომონის ძე, ქუთაისის ვაჭ.-მრეწველთა კავშირის გამგეობ. თავმჯდომ. ამხანაგი.
72. კასრაძე დავით ილარიონის ძე, იურისტი.
73. უზნაძე პავლე ნიკოლოზის ძე, ქუთაისის საურთიერთო ბანკის დირექტორი.
74. აბაშიძე გიორგი მინას ძე, პედაგოგი, მწერალი.
75. ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე, ჭიათურის ქალაქის გამგეობის წევრი.
76. გედევანიშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე, აგრონომი, სოფლის მეურნე.
77. ძებნიაური მიხეილ მათეს ძე, სოფლის მეურნე.
78. იაშვილი ზაქარია ნიკოლოზის ძე, პედაგოგი.
79. გვერწითელი გაბრიელ ივანეს ძე, ექიმი, გორის საერობო ხმოსანი.
80. მარუაშვილი მინა მალაქიას ძე, ექიმი.
81. ბებერიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე, გორის გიმნაზიის ინსპექტორი.
82. გამყრელიძე სამსონ იოთამის ძე, ახალსენაკის ქალაქის ხმოსანი.
83. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, გაზეთ „ახალი ძალის“ რედაქტორი.
84. ქღენტი ილარიონ მოსეს ძე, პედაგოგი.
85. კლიმიაშვილი ნესტორ მიხეილის ძე, ექიმი.
86. დალაქიშვილი ევგენი გიორგის ძე, მასწავლებელი მეურნე.
87. მგალობლიშვილი ვარლამ მიხეილის ძე, გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭოს წევრი.
88. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე, გორის ქალაქის ხმოსანი.
89. კაიშაური ნიკოლოზ ანდრიას ძე, კოოპერატორი.
90. ჩიბალაშვილი ივანე თევდორეს ძე, სოფლის მეურნე.
91. შამანაური მიხეილ შიოს ძე, სოფლის მეურნე.
92. დათიაშვილი ბესარიონ ბესარიონის ძე, სოფლის მეურნე.
93. ბერძენიშვილი ივანე სიმონის ძე, ხელოსანი.
94. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, არტილერიის ჯარისკაცი.
95. კვარაცხელია ლავრენტი თედორეს ძე, ზუგდიდის ქალაქის ხმოსანი.
96. კიკნაძე ალექსანდრე ილიას ძე, სოფლის მეურნე.

# საქართველოს მამულიშვილნო!

## ახლოვდება დამფუძნებელ კრების არჩევნები

**ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.**

ყოველი ქართველი მოვალეა ხმა მისცეს მხოლოდ

## ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას № 2.

სტამბა „ცხოვრება“ კილანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.